სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო

დავით აღმაშენებლის გამზირი №150
0112 თბილისი, საქართველო
+995 32 2439503 / +995 32 2439510
info@nea.gov.ge
nea.gov.ge

21 ნოემბერი 2025

N 21/11764

შპს „პეტროკას ფიუელ სერვისიზ ჯორჯია“-ს
ელ. ფოსტა: info@ecometer.org.ge

სსიპ გარემოს ეროვნულმა სააგენტომ (შემდგომ – სააგენტო) განიხილა თქვენი №9968 სკრინინგის განცხადება, რომელიც ეხება ქალაქ ბათუმში 400 მ^3 მოცულობის ნავთობპროდუქტების საცავის ტერიტორიაზე დამატებით 96 მ^3 მოცულობის საავიაციო საწვავის მიწისზედა რეზერვუარის მოწყობას და ექსპლუატაციას.

გაცნობებთ, რომ სკრინინგის განცხადებაში მოცემული არ არის/დაზუსტებას საჭიროებს საქმიანობასთან დაკავშირებული შემდეგი საკითხები:

- დოკუმენტში მოცემული უნდა იყოს ჯამურად 496 მ^3 მოცულობის ნავთობპროდუქტების საცავის (ტვირთბრუნვა 23 000 ტ/წელ) ექსპლუატაციის ეტაპზე ატმოსფერულ ჰაერში გაფრქვეული მავნე ნივთიერებების რაოდენობრივი და ხარისხობრივი მაჩვენებლები უახლოეს მოსახლესთან და ასაფრენ ზოლთან (ატმოსფერულ ჰაერზე ზემოქმედების შეფასების მოდელირების ანგარიში). გარდა ზემოაღნიშნულისა, ვინაიდან ნავთობპროდუქტების საცავი მდებარეობს საკურორტო ზონაში, ატმოსფერულ ჰაერზე ზემოქმედების შეფასებისას გათვალისწინებული უნდა იყოს „ატმოსფერულ ჰაერში მავნე ნივთიერებათა ზღვრულად დასაშვები გაფრქვევის ნორმების გაანგარიშების ტექნიკური რეგლამენტის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2013 წლის 31 დეკემბრის №408 დადგენილებით დამტკიცებული ტექნიკური რეგლამენტის მე-5 მუხლის მე-3 პუნქტით გათვალისწინებული მოთხოვნები;
- დოკუმენტში მოცემული უნდა იყოს ჯამურად 496 მ^3 მოცულობის ნავთობპროდუქტების საცავის (ტვირთბრუნვა 23 000 ტ/წელ) ექსპლუატაციის ეტაპზე მოსალოდნელი ხმაურის გავრცელების გაანგარიშება და უახლოეს მოსახლესთან მიღებული შედეგები;
- სკრინინგის განცხადებაში წარმოდგენილი უნდა იყოს დეტალური ინფორმაცია საქმიანობის ფარგლებში მოსალოდნელი ნარჩენების და მათ შემდგომ მართვასთან დაკავშირებული საკითხების შესახებ, საქართველოს კანონის „ნარჩენების მართვის კოდექსი“-ს და მისგან გამომდინარე კანონქვემდებარე ნორმატიული აქტების შესაბამისად;
- სკრინინგის განცხადების წარმოდგენის სამართლებრივ საფუძვლად მითითებულია „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსი“-ს (შემდგომ – კოდექსი) II დანართის მე-6 პუნქტის 6.3 ქვეპუნქტი, რაც ნავთობქიმიური ან/და ქიმიური პროდუქტის საცავის მოწყობას ან/და ექსპლუატაციას გულისხმობს. აღსანიშნავია, რომ 100 მ^3 ან 100 მ^3-ზე მეტი მოცულობის

წიაღისეული საწვავის, ნავთობისა და ნავთობპროდუქტების, თხევადი ან/და ბუნებრივი აირის მიწისზედა ან/და მიწისქვეშა საცავის მოწყობა და ექსპლუატაცია II დანართის მე-3 პუნქტის 3.5 ქვეპუნქტით რეგულირებულ საქმიანობას წარმოადგენს. შესაბამისად, დასაზუსტებელია სკრინინგის განცხადების წარმოდგენის სამართლებრივი საფუძველი;

- ვინაიდან 2023 წლის 26 ივლისს სააგენტოს მიერ გაცემულია „ქ. ბათუმში შპს „პეტროკას ფიუელ სერვისიზ ჯორჯიას“ ნავთობპროდუქტების საცავების (ჯამურად 400 მ^3) მოწყობასა და ექსპლუატაციაზე სკრინინგის გადაწყვეტილების შესახებ“ №355/ს ბრძანება, დასაზუსტებელია მითითებული ბრძანების ძალადაკარგულად გამოცხადების საკითხი.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, მითითებული საკითხების დაზუსტებამდე, კოდექსის მე-7 მუხლის 5^1 ნაწილის საფუძველზე, სააგენტო წყვეტს თქვენ მიერ წარმოდგენილ სკრინინგის განცხადებაზე ადმინისტრაციულ წარმოებას.

ელენე ღუბიანური

სააგენტოს უფროსი

სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო

https://edocument.ge/mea/public/#/11764-21-2-202511211129